

ცირკულარული ეკონომიკის პროგრამა საქართველოში

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის დაჩქარება - პოლიტიკის შემქმნელთა როლი

ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლა წარმოებისა და მოხმარების მეთოდების ძირფესვიან ცვლილებას საჭიროებს. საქონელი იმგვარად უნდა შეიქმნას, რომ იყოს გამძლე, შესაძლებელი იყოს მათი განახლება, შეკეთება და ხელახლა გამოყენება. კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ ახალი ბიზნესმოდელები, სადაც შემოსავლის მიღება მოხდება მომსახურებიდან და არა საქონელიდან, ხოლო რესურსები და მასალები უფრო ეფექტიანად მოიხმარება, მომხმარებლები კი საქონელს ეფექტიანად გამოიყენებენ და იმგვარად მოიცელებენ, რომ შესაძლებელი იყოს მათი გარდაქმნა მეორად მასალებად, რომელთა გამოყენებაც წარმოება-მოხმარების ახალ ციკლშია შესაძლებელი. ცირკულარული ეკონომიკის კონცეფცია ყურადღებას იპყრობს მომხმარებლობის დონისა და რესურსების მოხმარების ზრდის გამო, რაც მოსახლეობის სწრაფი მატებითა და ცხოვრების სტანდარტის ამაღლებითაა გამოწვეული. იგი ახალი ეკონომიკური მოდელია, რომელიც ეფექტიანი მწვანე განვითარებისაკენ მიმავალი მდგრადი გზაა. რადგანაც ცირკულარული ეკონომიკა გარემოს დაცვის, კლიმატური, სოციალური და ეკონომიკური კუთხით მრავალი სარგებლის მომტანია, მას არა მხოლოდ ევროკავშირის ინტიტუტები, ან ქვეყნების ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდი რაოდენობა უჭერს მხარს აქტიურად, არამედ ბიზნეს სექტორიც, საზოგადოებაცა და კერძო საფინანსო ინსტიტუტებიც მის მიმართ მხარდ ყურადღებას იჩენენ.

სხვა სისტემური ცვლილებების მსგავსად, ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასასვლელად სისტემის რამდენიმე კომპონენტი ერთდროულად უნდა შეიცვალოს. ამისათვის დაინტერესებულ მხარეთა არმიის ერთობლივი მოქმედებაა საჭირო. ყველა დონის სამთავრობო უწყებებმა, ბიზნეს სექტორმა, გამომგონებლებმა, აკადემიურმა სფერომ, ინვესტორებმა და მომხმარებლებმა ამ პროცესში მკაფიო როლი უნდა ითამაშონ და მას ხელი უნდა შეუწყონ. ასეთ ცვლილებას მხარს უნდა უჭერდეს კარგად გამართული, არადაამახინჯებელი პოლიტიკა და მარეგულირებელი ჩარჩო, რომელიც, აღმოფხვრის რა სწორზაზოვანი ქცევის წამახალისებელ მოძველებულ სუბსიდირებას და სრულად განაფასებს რა წრფივ წარმოებასა და ნედლეულის მოხმარებასთან დაკავშირებულ რისკებსა თუ გარე შედეგებს, ცირკულარული ეკონომიკის ბიზნესმოდელებისათვის თანაბარ პირობებს უზრუნველყოფს. ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის მიზანმიმართულად დასაჩქარებლად არსებული პოლიტიკის ჩარჩოები და პოლიტიკის შემქმნელთა კვალიფიკაცია საკმარისი არაა. ექსპერტთა სხვადასხვა ჯგუფებს საფინანსო და არასაფინანსო პოლიტიკის შემქმნელებისათვის, პროექტების განმახორციელებლებისათვის და სამთავრობო უწყებებისათვის შემუშავებული აქვთ რამდენიმე საკვანძო რეკომენდაცია, ცირკულარული ღონისძიებების დანერგვის დასაჩქარებლად შეთანხმებულად როგორ უნდა იმოქმედონ.

ამ რეკომენდაციების ერთ-ერთი საერთო თემა სამთავრობო უწყებების როლი და მათი შესაძლებლობების გაძლიერების საჭიროება. სამთავრობო უწყებებს შეუძლიათ ცირკულარული ეკონომიკური მოდელების სტიმულირება და ხელშეწყობა ყველა დონეზე უზრუნველყონ, მაგალითად, სახელმწიფო შესყიდვების, სუბსიდიების, გადასახადებისა და დაფინანსების მეშვეობით. მათ გარე შედეგებზე დადებითი ზემოქმედების უფლებამოსილება და ინსტრუმენტები გააჩნიათ.

მიმდინარე პროგრამა, რომელსაც შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ ახორციელებს, მიზნად ისახავს ცირკულარული ეკონომიკის თაობაზე ცნობიერების ამაღლებას და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა ჯგუფებისათვის რეკომენდაციების მიწოდებას. ამ პროგრამის ფარგლებში ორგანიზებული მე-5 კონფერენციის მიზანია რეკომენდაციების მიწოდება პოლიტიკის შემქმნელებისათვის და საქართველოს პარლამენტის ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ცირკულარული ეკონომიკის თაობაზე.